ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1098229

ნომერი: AR1188686

თარიღი : 06.01.2014

გაცემის თარიღი : 28.01.2014

გაცნობის თარიღი : 28.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუხიაშვილი პ/ნ 01024019289
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 6 აინვრის #

AR1188686 განცხადებით მომართეს გიორგი მუხიაშვილმა და შპს „პროფილ ბილდინგი“–ს დირექტორმა რომან კუნჭულიამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა, მოქ. ლამზირა კოროშინაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #012/720) შეთანხმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 24 სექტემბრიდან 2014 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ადიმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია ლამზირა კოროშინაძე.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (ამონაწერის რეგისტრაციის #882013616020; მომზადების თარიღი: 18/12/2013 წ. საკადასტრო კოდი: #01.72.14.012.720) საფუძველზე ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით ლამზირა კოროშინაძის ნაცვლად მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "პროფილ ბილდინგი" (ს/კ 445431097). ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს ‘’პროფილ ბილდინგის’’ დირექტორია რომან კუნჭულია, ხოლო 100%–იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებული ლამზირა კოროშინაძე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია შპს „პროფილ ბილდინგი’’, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებაში დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებაში და დამკვეთად ლამზირა კოროშინაძის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ‘’პროფილ ბილდინგი’’.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.09.2013 წ. #915550 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.